ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 229
1877

# ივერია

№ 229
1903

ოკდომბერი 28, სამშაბათი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ოკდომბერი 28, სამშაბათი 1903 წ.

პირველ ოქტომბრიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 3 მან. 50 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით -6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

როინაშვილისეული ფოტოგრაფია.

ამ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“

ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

იჯარით ავიღე

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი**, მიეცემა **მ უ ფ თ ა დ** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოვოდ დახატული.**

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, სანახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეებს ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცელიძე.**

„ცოდნა“

ახლად დაარსებული ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება

ყველა ქართული წიგნები და ქართულ-რუსული სახელმძღვანელონი სასწავლებელნი სამრევლო და სამინისტრო სკოლებში. აგრეთვე მაღაზია ჰყიდის და ყიდულობს ძველს და ნახმარს წიგნებს დაკლებულ ფასად.

საგანი „ცოდნის“ მაღაზიისა—გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასათვის ხელ-მისაწდომ გამოცემათა.

**მსურველთ** წიგნები ეგზავნება ქალაქ-გარედაც **ფას-დადებით.**

დაუყოვნებლივ ვასრულებთ ყოველ გვარ შეკვეთას, როგორც ქალაქის აგრეთვე პროვინციის მცხოვრებლებისას.

იქვე მიიღება ხელის მოწერა ყოველ ქართულ ჟურნალ-გაზეთებზე.

ადრესი: Тифлисъ, Книжный магазинъ „ЦОДНА“.

წიგნის მაღაზიის პატრონი და მმართველი სოსიკო მერკვილაძე.

წარმოდგენა № 10. ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

სამშაბათს, 28 ოკდომბერს 1903 წ.,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

ვ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

წარმოდგენილ იქნება

I

ჰამლეტი

ტრაგ. 5 მოქმ. შექსპირისა, თარ. თ. მაჩაბელისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნინა ჩხეიძე, ნ. გამყრელიძისა, ნ. ჯავახიშვილისა.

ბ-ნნი: დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი. ნ. გვარამძე, ი. ივანიძე, კ. მესხი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი აკაკი.

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და სალამ. 5—7-მდის. (წლ.)

ტფილისის სახაზინო თეატრი

რუსული ოპერა

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

სამშაბათს 28 ოკდომბერს წარმოდგენა არ იქნება, რადგან სწრაფად მზადდება ოპერა „ფრანჩესკო“

ოთხშაბათს, 29 ოკდომბერს 1903 წ.,

წარმოდგენილი იქნება

ჟიდოვკა

ოპერა 5 მოქმედებათ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ბი: შელნიკოვა კარტავინა, ბ-ი: დარსკი, სელიავინი, შმაკოვი, კლიუზნერი, სანგურსკი, გრიხევი, გავრილოვი.

კაპელმეისტერი ბ-ნი პოზენი.

უფროსი რეჟისორი ნ. ი. ბოგოლიუბოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

ანონსი. ხუთშაბათს 30 ოკდომბერს წარმოდგენილი იქნება მის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერის მონაწილეობით „ფრადიავოლო“ ოპერა სამ მოქმ., მუსიკა დ. ობერისა.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირადღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. ავეტისიანცი.** 10 -11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დ ლის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

**კ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

**ვ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია)

**ლ. ვ. ბარტოლდი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

**ბ. ს. ლევი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ვ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 8½ —8 ს.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(ღლ.)

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (**Набережная**) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

**ვ. ი. ჰიჰინაძე.** კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

**ლ. ი. კამოიევი.** საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

**ნ. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილებისა 10—11 საათ.

**ა. ბ. მაღალაშვილი.** შაკ. და შინაგ. 10—11 ს.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**ზრ. ვ. სოზოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

საღამოთი:

**ა. ბ. მაღალაშვილი.** შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ. ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8

ტელეფონი № 274

## ტფილისი

⁂ გამოცხადდა მთავრობის განკარგულება, რომლითაც მომავალ 1904 წლიდგან სამის წლის განმავლობაში ქუთაისის გუბერნიისა, ბათუმისა და სოხუმის ოლქების მემამულეთ შეუძლიანთ, უკეთუ გარდასახადთა საკრებულომ მეტი ხარჯი შეაწერა, რაც არ ეთანხმება მამულის რაოდენობასა და შემოსავლიანობას, განასაჩივროს საკრებულოს დადგენილება 5 ნოემბრამდე. საჩივრები უნდა მისცენ მაზრის საკრებულოს, რომელიც მოვალეა საჩივრები თავის მოხსენებით გუბერნიის საკრებულოს წარუდგინონ 20 დეკემბრამდე.

⁂ ტფილისის საბჭოს ხმოსნებს კერძო კრება ჰქონიათ, რომელსაც დასწრებია 40 ხმოსანი. კრებას მოლაპარაკება ჰქონდა ქალაქის გამგეობის წევრის კანდიდატებზე და შეთანხმებულან, რომ კანდიდატებად დაასახელონ არჩევნების დროს ხმოსნები ლ. ტიგრანოვი და ა. ხატისოვი.

⁂ თერგის ოლქის უფროსს მიუღია კავკასიის მთავარმართებლის განკარგულება, რომლითაც აღეკრძალათ კავკასიაში ცხოვრება, საზოგადო წეს-წყობილობისა და მშვიდობიანობის დარღვევისათვის, ზუგდიდის მაზრის სოფელ ჩაკუნის გლეხს კოსტანტინე ბეჟანის ძე აბშილავას და ყუბანის ოლქის თემრიუქის ნაწილის სოფელ აზტანიზის აზნაურს ივანე ანტონის ძე გერვასიას.

⁂ ნოემბრის 4-ს მოსკოვში დაიწყება რუსეთის თავად აზნაურთა საგუბერნიო წინამძღოლების კრება. კრებაში მონაწილეობის მისაღებად მიუწვევიათ ტფ. გუბერნიის მარშალიც თავ. დ. ზ. მელიქიშვილი. როგორც გადმოგვცეს, თავ. მელიქიშვილი კრებას წარუდგენს მოხსენებას ადგილობრივ საჭიროებათა შესახებ.

⁂ მომავალ ნოემბერში მოხდება საზოგადო კრება სახალხო კითხვათა ტფილისის საზოგადოებისა. გამგეობა სთხოვს იმათ, ვისაც სურს საზოგადოების წევრად ჩაეწეროს, 14 ნოემბრამდე წერილობითი განცხადება გაუგზავნოს გამგეობის თავმჯდომარეს ნ. ა ხუდადოვს (ნიკოლოზის ქუჩა, № 65). განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს სახელი, მამის სახელი გვარი და ადრესი მთხოვნელისა.

⁂ „ჩერნ. ვესტნიკ.“-ი იუწყება: „ბათუმის საქალაქო გამგეობის წევრი ი. ა. ივანოვი დამტკიცებულ იქმნა ბათუმის ქალაქის მოურავის მოადგილედ“.

⁂ ტფილისის საგუბერნიო საამშენებლო გამგეობას განუზრახავს თიანეთის მაზრაში ახალ გზის გაყვანა. ეს გზა დაიწყება თიანეთიდან, გაივლის მაღაროს, ბარისახოს და მივა შატილს. სიგრძე გზისა 160 ვერსია. გამგეობა ჰფიქრობს აგრეთვე რამდენისამე ახალ გზის გაყვანას გორისა და ბორჩალოს მაზრებში.

## სათეატრო შენიშვნები

### V

განუვითარებელი ნიჭი,—ფრთა-შეკვეცილი შევარდენია, რომელიც მაღლა ვეღარა ჰფრენს და დაბლა სიარულსაც ვერ ახერხებს. როგორც ყვავილი უციურნამოთ, ისე ნიჭი უსულიერ-საზრდოდ სჭკნება და ნაყოფი ველარ მოაქვს. და საბრალოა ის, ვინც ნიჭს ვერა ჰხმარობს ისე, როგორც სახარების საიგავო ორგული მონა, რომელმაც მისდამი მინიჭებული ერთი ქანქარი (ტალანტი) ვერ ამრავლა და უსარგებლოდ დაუბრუნა მიმნიჭებელს.

ჩვენ, ქართველები, ნიჭის მხრით ვერ ვუსაყვედურებთ ბედს, მაგრამ ძალისძალობით, ჩვენისავე დაუდევრობით, ვაჭკნობთ ყვავილს და ქარს ვეძლევით ქვეყნის პირისაგან აღსაგველად. ეს გვეტყობა ყოველგვარ ხელოვნებაში: პოეზიაში, მხატვრობაში, ქანდაკობაში, სათეატრო მოღვაწეობაში და სხ... დასამტკიცებელი საბუთი ყველგან შეგვიძლია წარმოვადგინოთ, მაგრამ დღეს ჩვენ მხოლოდ თეატრის შესახებ ვსაუბრობთ და ამიტომაც არტისტებს მივმართავთ. როგორც საყოველთაო, ისე საარტისტო ნიჭიც ორგვარია: პირველი „თავისთაობითი“, რომელსაც ქვაკუთხედად შემოქმედებითი ძალა უძევს, და მეორე „მიმბაძაობითი“, რომელსაც უბრალო წამხედურობის მეტი არა ეპირვება-რა. ეს ორივე თვისება ისე ნათლად არსად სჩანს, როგორც სცენაზე, სადაც ხშირად წამხედურა-მსახიობი იმავე როლს თამაშობს, რომელსაც შემოქმედების ძალით აღჭურვილი. კლასიკურ პიესებში, კლასიკურ როლების მოთამაშე და მშვენიერადაც მოთამაშე არტისტები ასობითა და ათასობით არიან ქვეყანაზე, მაგრამ ბურბეჯები, ჰარიკები, როსსები, კინები, სალვინები, რიშელები, რასტორიები, სარა ბერნარები, დუზეები და სხვანი-კი მხოლოდ თითო-ოროლა. და ეს იმიტომ, რომ ეს უკანასკნელები თვითონ ქმნიან როლებს, სულს უდგმენ და სხვები-კი ამათ მხოლოდ ჰბაძავენ ავიღოთ უფრო ახლო მაგალითი. «კრეჩანსკის ქორწინებაში» რუსის მსახიობმა სადოვსკიმ შეჰქმნა «რასპლიუევის» როლი. იმავე დროს, მეორე არტისტიკ, დიაღ უნიჭო, ბურდინი იმავე როლს ისე თამაშობდა, რომ ძნელი გასარჩევი იყო სადოვსკიში, თუმცა ის მარტო მხოლოდ ჰბაძავდა პირველს. ჩვენმა არტისტმა ვ. აბაშიძემ, სხვათა შორის, შეჰქმნა «ისაიას» როლი «ხათაბალაში» და იმ როლს ბ. აწყურელი სამაგალითოდ ასრულებს, როგორც შესანიშნავი პირი (კოპიო) უფრო შესანიშნავ დედნისა (ორიგინალის). ვისაც დედანი (ორიგინალი) არ უნახავს იმას ხშირად პირი (კოპიო) ნამდვილი ჰგონია და სტყუვდება. ვისაც ნამდვილი არტისტი არ უნახავს განმახორციელებელი ამა თუ იმ როლისა რომელიმე პიესაში, იმას, რასაკვირველია, მისი წამხედურა-მსახიობიც დიდ ვინმედ მოეჩვენება. ორი უვიცი ბაასობდენ ერთხელ; პირველი ამბობდა,—მზე სჯობია მთვარესაო და მეორე-კი ამტკიცებდა:—არა, მთვარე უმჯობესია, რადგანაც დღე უმზეოდაც ნათელია და მთვარე-კი ღამე, ბნელში ანათებსო. რა იცოდა იმ საწყალმა, რომ, თუ მზე არ იყოს, აღარც დღე იქნებოდა და აღარც მთვარე!. ხელოვნების შესახებაც სწორედ ასე სჯის ბრბო. ბრბომ თქვენი ჭირი წაიღოს, უფრო სამწუხარო ის არის, რომ ბრბოს მსჯელობას ვერ ასცილებიან ხელოვნების შესახებ მჯღაბნავი ვითომ და კრიტიკოსებიც. ჯერ რუსეთშიაც რა არიან კრიტიკოსები, რომ ჩვენ, ქართველები, იმათის ნასუფრალით გამოკვებულები, ვიყოთ რამე?.. ერთს დროს რუსეთში პეტერბურგის სცენაზე ერთი ხეირიანი არტისტი იყო, გვარად ბრიანსკი, რომელიც შექსპირის დრამაში „რიჩარდ მესამეს“ კარგად ადგენდა. ეს ძუნწი მეფე, როდესაც გაექცა მტერს და ცხენი მოუკლეს, ისეთ სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, რომ დაიღრიალა: „არიქა, ცხენი! მიშოვნეთ ცხენი და ნახევარი სამეფო წაიღეთო!“ როცა ადგენდა ამ მეფეს ბრიანსკი, შექსპირულ სინამდვილეს არ ჰღალატობდა და როგორც სახეზე, ისე ხმის კილოშიაც დიდი სულიერი ტანჯვა ეტყობოდა. მოსკოველებმა რომ ნახეს, დაიწუნეს ავტორიცა და მსახიობიც; არაო ამბობდნენ,—იმ ვიღაც შექსპირს ჩვენი კუკოლნიკი სჯობნებიაო და დრამაც იმან უკეთესი დასწერაო. „ცხენი, ცხენი“, რომ იძახის, აქ რა დრამა არისო? აი, დრამა ჩვენი კუკოლნიკის ნაწერებში იხატებაო. მაგალითად ავიღოთ გინდ ეს ადგილიო: თათრების სარდალმა რომ დიმიტრი დონელს ელჩები გამოუგზავნა, დამნებდიო! დიმი-

ტრიმ უპასუხა: „წადით, უთხარით, მამამის, რომ კბილებს ჩავამტვრევ და გვერდებს ამოვულეწო!“ აი სად არის ნამდვილი დრამა!.. სწორედ ასე ესმით ჩვენ კრიტიკოსებსაც დრამა, რასაც მათი შენიშვნები გვიმტკიცებენ. ნუ გამიწყრებიან ძ, იმათ რაც სარიტორიკო სახელმძღვანელოებში ამოუკითხავთ ისა ჰგონიათ სიმართლე. მესამოცე წლებში, ერთმა ჩვენმა ინტელიგენტთაგანმა გაარჩია გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“ და აი რა დაბეჭდა „დროებაში“: „ეს პიესა თუმცა კარგი რამ არის, მაგრამ მაინც არც დრამაა და არც კომედიაო!“ დრამა რომ ყოფილიყო ხუთმოქმედებიანი უნდა იყოსო და კომედია სამ მოქმედებიანი, და ეს-კი ოთხ-მოქმედებიანიაო. ერთხელ კიდევ იმ ხანებშივე განსვენებული გიორგი წერეთლის კომედია წარმოადგინეს «ოჯახის ასული». პიესა ისე ჩინებულია, რომ დღესაც კიდევ შეიძლება მისი წარმოდგენა, მაგრამ მაშინდელმა კრიტიკოსებმა წუნი დასდვეს, პიესაში მოძრაობა ცოტა არისო. და ჩაუმატეს პიესაში უხმო პირები, რომელნიც მოქმედების დროს გარბოდნენ და გამორბოდნენ სცენაზე. რასაკვირველია, პიესა გააფუჭეს და მერე აღარ უთამაშნიათ. ამას წინად „ივერიაში“ წერილი იყო ვილაცასაგან დაბეჭდილი და ამ ვაჟბატონს, რომელსაც სულიერი მოძრაობა და ხორციელი კუნტრუში ვერ გაურჩევია, შესანიშნავ რეჟისიორად ჰყავდა მოხსენებული. დღევანდელი რეცენზენტებიც სწორედ ამავე ძველ საფეხურზე სდგანან. „სამშობლოში“, სხვათა შორის, ერთი ადგილია, სადაც ქეთევანს აწამებს შაჰი: თითებზე ქანჩს უჭერენ, რომ შეთქმულების სახელები ათქმევინონ. ქალიც, როცა უჭერენ ქანჩს და მეტს ველარ აიტანს, ასახელებს და როცა შეუშვებენ ხოლმე ხელს, ისიც გულს იბრუნებს და აღარას ამბობს. ეს როლი, რასაკვირველია, ნამდვილად შეასრულა ჩხეიძის ქალმა. მაგრამ რეცენზენტს არ მოსწონებია და უწერს: „საკვირველია, რომ ქეთევანს ისე მალე ავიწყდებოდა ტკივილი და შეუშვებდნენ თუ არა ხელს, სახეზე ტანჯვისა აღა-რა ეტყობოდა-რაო“!.. მართლა საკვირველი ის არის, რომ ამ რეცენზენტს ისიც-კი არ უნახავს რაც ცხადზედაც უცხადესია. მაგალითად, ყმაწვილს რომ ეკალი შეერჭობა ფეხში, სანამ გამოიღებდეს, სტირის და გამოიღებს თუ არა, მაშინ დაჩუმდება, თუმც წყლული მაინც რჩება. მწვავე ტკივილი რომ შეჩერდება, ადამიანს ეფონება და ასე ჰგონია თუ სულაც აღა-რა მტკივა-რაო. მდუნე ტკივილი იარისა შემდეგში იჩენს თავს. ქეთევანს რომ ქანჩას შეშვების შემდეგაც თითებზე სულის ბერვა დაეწყო და ხელის ქნევა, განა ეს ნამდვილი იქნებოდა? მერე კიდევ როდის? როცა უარესი ცეცხლი გულში ედებოდა... ვილას აგონდება წვრილმანი სატკივრები დიდი ტკივილის დროს?.. ეს არ ცოდნია შენიშვნის დამწერს და თავის უვიცობას კანონათ სდებს. კარგი რომ ჩხეიძის ქალი შეგნებულია, თორემ სხვა რომ ყოფილიყო დაიჯერებდა და შემდეგში გააფუჭებდა თამაშს. ერთს ახალგაზდა არტისტს პიესაში საზიზღარი კაცის როლი უნდა ეთამაშნა და გრიმი-კი ისეთი გაეკეთებინა და სახეც ისე გაემშვენიერებინა, რომ ანგელოზს ჰგავდა. კაცო! შენ ხომ საზიზღარის როლს თამაშობ და გარეგნობითაც უნდა ეთანხმებოდე-მეთქი, — შევნიშნე. ვიციო, — მიპასუხა, — მაგრამ რა ვქნა, რომ პუბლიკას არ მოსწონს ამ გვარი როლები და ზიზღი მოთამაშეზე გადმოაქვსო. მართალი სთქვა. მაყურებლები ხშირად ვერ არჩევენ ნამდვილ სულის მოძრაობას და უფრო გარეგნობითა სჯიან. უმეტესობას ლამაზი მსახიობი მოსწონს და ხელოვნებასაც თვალებში ეძებს.

ამაების გარჩევა და გამორკვევა რეცენზენტების მოვალეობაა და ამიტომაც რეცენზენტობას არ უნდა ჰკისრულობდნენ ისინი, ვისაც ხელოვნების ინბანიც არ გაუვლიათ! რეცენზენტებს უნდა მივაწეროთ ისიც, სხვათა შორის, რომ არტისტები ახალ პიესებს, ახალ-ახალ როლებს, გაურბიან და ძველებს ეტანებიან, იმ ძველ პიესებს, რომლის გზაც დიდი ხანია გატკეცილია, და ზედ გავლაც ადვილია, თუ სულ საპყარი არ არის კაცი.

აკაკი.

## სიტყვა

მღ. დავით იაშვილისა, თქმული დ. მაჩხანელის დასაფლავების დღეს.

ჩვენო ძვირფასო და მარადის დაუვიწყარო დიმიტრი!

ასე მოულოდნელად რამ შესწყვიტა შენი მაჯის ცემა, რად დადუმდნენ ძვირფასნი ბაგენი შენნი და რად შეჩერდა შენი გრძნობა-გონებათა დაუწყნარებელი დუღილი? — თანამოზიარე ჩვენის ჭირისა და ლხინისავ, რად სდუმხარ ეხლა, რატო არ ჰკრეფ მრავალ-ფეროვან სცენებს ჩვენი ქიზიყურ შემოდგომის მხიარულის ყოფა-ცხოვრებისას?!

— იქნება მართლა, ჩვენი ძვირფასი დიმიტრი აღარა ვყავს? იქნება მართლა ჩვენი სიამაყე, ქიზიყის ბრწყინვალე ვარსკვლავი, ზეციდგან მოსწყდა?! მაშ ვინღა ჩაგვისახავს გულში ნათელს, «ძმურის სიტყვით» ვინღა გაგვამხნევებს, ვინ დაგვაფიქრებს ჩვენს არარაობაზედ, გულის წყლულს ვინ გამოგვარწყავს?!..

დავშორდით შენგნით, ძვირფასო დიმიტრი, და ეს სიმწუხარე ობლობისა ორკეცდება მით უფრო, რომ შენი ავადმყოფობა არავის გაუგია, ვერვინ მოვასწარით შენი ნახვა უკანასკნელ წუთებში, ვერ მოვისმინეთ და ვერ გავიგეთ შენი უკანასკნელი ფიქრ-გრძნობა ის დელვანი! — ნეტა რა იყო შენი უკანასკნელი სურვილ-მწუხარებანი, რომელნიც სხვასთან გაუზიარებლად და უხმობლად თან წარიღე ცივს სამარეში, — ნეტა ვიცოდეთ უკანასკნელად რას გვეტყოდი, რა გულის საიდუმლოთა გაგვიზიარებდი, გვიანდერძებდი!?

შენი მოულოდნელი სიკვდილის ხმა შენს მცირე მოძმეთაც ელვის სისწრაფით მოჰფენია, რომელნიც «მელესკე, მრეტყველის» კუპლეტებით გამკობენ და მწარე ცრემლ-მორეულნი ოხვრით გლოვობენ — შენი დამკარგველნი..

გასაკვირველია, უსწავლელ-უმეცართა როგორ გაგიცნეს, საიდგან იციან შენი ვინაობა, — მაგრამ „განა დაიმალება სასანთლეს ზედა მდგომარე აღნთებული ლამპარი?“, ვინ არ იცის, როგორი, მათთვის თავდადებული, დიმიტრი იყავი, მათი ჭირ-ვარამის თანამოზიარე, მათი უბედურების მოტირალი, მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მშფოთარე და თავშეწირული!!?

ვის არ სმენია შენი «ძმური სიტყვა», რომელიც ხელის-ხელ საგოგმანებელი მარგალიტია ჩვენს სახალხო წიგნთა ლიტერატურაში და ნამდვილი ძმა და მეგობარია ჩვენი მდაბიო, წვდიად-მოსილი ხალხისა.. ასე როგორ ჩასწვდი ხალხის გულის სიღრმეს, ასე როგორ შეუფერადე მის გემოვნებას და როგორ მოაჯადოვე შენის მადლიანის ენით მისი მიდრეკილება წიგნის კითხვის წინააღმდეგ რომ ყველას, ვისაც-კი ოდნავ წიგნის კითხვა შეუძლიან, შენი «ძმური სიტგა» მისს გარუჯულს თაროს უმშვენელად ამკობს და მისს შინაარსის ნექტარს გაუმაძღრად ეწაფება!?

გლოვის ზარი მოფენიათ შენს მაჩხაანელებსაც, ძძით და მწუხარებით შემოგრტყმიან თავისს ძვირფასს «მაჩხანელს», — თავისს ლაზათს, თავისს დამამშვენებელს გვირგვინს.

ბევრი რამ კარგი გააკეთე შენს მოძმე მაჩხაანელებისათვის, ბევრი სიკეთე დასთესე მათთვის, აი გინდ დავასახელოთ ის, რაც თვალთა გვხედავთ: სკოლების გახსნა, რომელთა შორის, სახელდობრ, საქალებო სკოლას შესწირე უმთავრესი წყარო შენი უფერულის ცხოვრებისა, ესე იგი დაუთმე მასს ძვირფასს სავაჭრო ადგილს აღშენებული სასკოლე შენობა; შენის მეთაურობით და მეცადინეობით გაიხსნა ქვემო-მაჩხაანს სამკითხველო, ქვემო ქიზიყის საავადმყოფო ქსენონი, სავაჭრო დეპო და სხვანი.

არ მინდოდა, ძვირფასო დიმიტრი, მეხსენებინა „დეპო“, რადგან შეიძლება დეპოს დასახელებამ შეატრთოლოს შენი გაყინული გული, ვინაიდგან მისს გამო ბევრი ჯავრი, მწუხარება და ხალხის მხრივ უსამართლო უმადურობა გამოიარე; მე პირად მრავალგზის მოწამე ვარ იმისი და სხვანიც მრავალნი აქ დამსწრენი, თუ როგორ ზოგიერთნი უსამართლოდ და უღმრთოდ ფლეთავდნენ შენს ჭეშმარიტს გულს. ნეტა რისთვის? — განა შენი დაუდევრობით, თუ უმეცრობით მოხდა ის, რომ ფრიად სასარგებლო, მრავალმნიშვნელოვანი და დიადი საქმე, შენ მიერ მრავალთა დაბრკოლებათა დათრგუნვით აღორძინებული დაიქცა და განმტკიცდა შენდა დამოუკიდებელ გარემოებათა მეოხებით!

თუმც თვით დეპოს საქმე დაიქცა და დაიღუპა, მაინც დეპოს არსებობამ დიდი სარგებლობა მოუტანა კერძოდ ქვემო-მაჩხაანს და საზოგადოდ მთელს ქვემო ქიზიყს, ვინაიდგან ქ. მაჩხაანი დეპოს დაარსების შემდეგ ნამდვილ ქალაქად გადაიქცა, დეპომ მიაჩვია ხალხი ქვემო მაჩხაანში ასეთს გაჩაღებულს ბაზრობა-ვაჭრობას და დეპოს მეოხებაა, რომ ქვემო მაჩხაანი სიგძითი-სიგძობამდე ჩვენთა მოძმეთა მოვაჭრეებით მხარგაბმულია; ნუ დავივიწყებთ აგრეთვე იმას, თუ დეპომ როგორი შემაერთებელი ძალა დაბადა და აღზარდა ჩვენში, ვინაიდგან დეპო ნამდვილი საზოგადო კლუბი იყო ქიზიყის ინტელიგენციისა და ადგილი მათი ერთმანერთთან შეხვედრისა სჯა-ბაასისა და აზრების გაზიარებისა; დეპომ გააცნო აგრეთვე ხალხს, უფრო-კი მდაბიოს, ნორმალური ფასები სხვა-და-სხვა სავაჭროსი და სხ. მიუხედავად იმისა, რომ პირად მე, თუ ჩვენმა ოჯახმა დეპოს დაღუპვით მთელს ქიზიყის მცხოვრებთა შორის ყველაზედ ბევრი ვიზარალე, მაგრამ შენს სიცოცხლეში ყამსაც მრავალჯერ მითქვამს საზოგადოთ და ახლაც შენს განსვენების დროსაც იმავე აზრისა ვარ, რომ შენ-მიერ დაარსებულის დეპოთი დიდათ ვართ ქიზიყის მცხოვრებნი შენგნით დავალებულნი და დეპოს საზოგადო მნიშვნელობა არა მცირდება მით, თუ ზოგიერთის კერძო ინტერესები, შენდა უნებურად, მას მსხვერპლად შეეწირა.

მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო დიმიტრი, შეგვინდე და მოგვიტევე, თუ რამე გაწყენინეთ, თუ შენი გულწრფელი შრომა და მოღვაწეობა ღირსეულად ვერ დავაფასეთ; მშვიდობით ამაოებითა ამა სოფლისა, დაუმტკბარო, სიჭაბუკეშივე დამჭკნარო, ჩვენს ხსოვნაში დაუვიწყარო და უკვდავო, ჩვენო ძვირფასო დიმიტრი!

მღ. დავით იაშვილი.

## ქველ-მოქმედთა საყურადღებოდ.

სოფელ ტობანიერში სცხოვრობს ერთი მეტად გაჭირვებული ავადმყოფის შვილის პატრონი ქვრივი დედა-კაცი გვიტია ჟორჟოლიანისა. 13 წელიწადია მას აქეთ, რაც დაქვრივებულა და დარჩენილა ულუკმა-პუროდ, ღვთის ანაბარა თავისის ცხრა წლის ვაჟით, ფილიპეთი; მეათე წელს დაბადებიდგან ამ ბავშვს გაჩენია თეძო-მუხლებში მჭამელი, რომელსაც ჰლოუშლია მთლად, არც ფეხზედ დგომა, არც ჯდომა აღარ შეუძლია. აგერ 12 წელიწადი სრულდება, მუდამ წევს ლოგინში და ჩირქის დენით მთლად გამოლპობია თეძო-მუხლები. საბრალო მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია: მისი ქოხი, რომელიც სიგრძე-სიგანით ხუთი არშინი ძლივს ღა იქნება, ნახევრად დახურავია, წვიმას ვერ იჭერს და კედლების ჯუჭუტანებში ქარიც თავისუფლად უბერავს. ავადმყოფი წევს ფიცრებზედ, ძონძებში გახვეული; არა აქვს არც ქვეშ-საგები, არც საცვლები. ზაფხულობით უბედური დედა ძლივს-ღა პატიობს შვილს. დილიდგან საღამომდე სნეული კარ-გამოკეტილია უპატრონოდ, რადგან დედა დადის სოფელში სამათხოვროდ.

ამ ბოლო დროს ავადმყოფი ხმას აღარ იღებს, ჭამით-კი ძლიერ სჭამს, თუ-კი რამ მიუტანეს. როდესაც დაბა სამტრედიაში იყო ბინად ექიმი, ბ-ნი ვახტანგ ლამბაშიძე, ხშირად ხვდებოდა გამოსვლა რიონ-გაღმის კუთხეში ავადმყოფების სანახავად და ერთხელ მე თვითონ ვთხოვე და ვუჩვენეთ ეს ავადმყოფიც. ექიმმა დაათვალიერა და სთქვა, რომ მორჩენა მისი ეხლა შეუძლებელია, რადგან ავადმყოფობას თავისი უქნია; თავის დროზედ-კი მორჩებოდა, თუ მტკივანი ასე მოეჭრათო. ავადმყოფობას უწოდა სახელად „туберкулезъ“.

ქვრივ დედას არავითარი სალსარი აღარა აქვს და კეთილ ხალხის შემწეობით სიმშილით მაინც არ ჰკლავს თვის ღვიძლ შვილს, რომელიც დღეს 22 წლისაა. გულ დამწვარი და დაჩაგრული დედა სთხოვს ყველას შეწევნას, რომელიც შეიძლება გამოგვიგზავნონ შემდეგის ადრესით: М. Самтреди. Смотрителю Тобаніерскаго двухкласснаго училища Вл. Нацвалову для вдовы Жоржоліани.

იმედი გვაქვს, გამოჩნდებიან კეთილის გულისანი და თანაუგრძნობენ ამ დამწუხრებულ დედას.

ვლადო ბზვანელი

## ჩვენებური ამბები

**ქ. ოზურგეთი.** აქაურ ვაჭრებს გამოუცხადეს, დუქნების წინ წყლის სავალი ცემენტით უნდა მოვკირწყლოთო. რაც დაჯდება, თქვენ გადიხდითო. მოიტანეს ქვიშა, დაჰყარეს ქუჩებში, მეეტლეებს და მეურმეებს ბაზარში სიარულს უშლის. მას შემდეგ, თვე ნახევარი გადის, ქვიშა ქვიშათ დარჩათ ვაჭრებს და წყლის გაკეთებამ დავიწყებას მისცა თავი. სასურველია, ეს საქმე ამ დარებზედ გაკეთდეს, თორემ ზამთარში ცემენტით მუშაობა არ ივარგებს.

სასამართლოს ქვემოდ დაღმართზედ ჩვენმა ქალაქის მამებმა გააკეთეს ცემენტის ხიდი. თუმცა ხიდი დიდად სასარგებლოა საზოგადოებისათვის, მაგრამ ერთ ქვრივ-ოხერს, რომელიც ხელის სიფართე მიწაზედ მიუსახლობს, ვერაფერი საქმე დააყენა ამ ხიდმა. წყალმა სულ იქით ჰქნა პირი.

წელს ოზურგეთლებს მოგვხვდა ღმერთმა და წყალ-დიდობამ დაგვისუფთავა ქუჩები, თორემ, შენი მტერია, ჩვენთვის ციებ-ცხელება აუცილებელი სტუმარი იქნებოდა. სანიტარულის მხრივ ჩვენი ქალაქი ძლიერ დაქვეითებულია. დუქნების უკან ქუჩებში კაცს გავლა არ შეუძლია, თუ ცხვირ-პირზედ ერთი თოფი ნარმა არ აიხვია, ისეთი სიმყრალე და წუმპეები დგას.

ი. გირგოლაძე.

—

**ოზურგეთი.** მოაწია „სალდათობამ“ და ოზურგეთიც ამოძრავდა. დიდ სიხარულსა და მზადებაში იყვნენ აქაური მიკიტნები, რადგან იცოდნენ: სასალდათოები ქეიფისა და სიმთვრალის მეტს არაფერს აკეთებენ ამ დროს, მაგრამ გაუცრუვდათ იმედი! პირველი მით, რომ ლანჩხუთის და ჩოხატაურის რაიონი ჩამოაშორეს ოზურგეთს და ამ წლიდგან ამ რაიონების სასალდათოები იქ იყრიან კენჭს. მეორე მით, რომ მთავრობამ აკრძალა დუქნების გაღება, სანამ კენჭის ყრა არ გათავდებაო. მხოლოდ რამდენსამე საათს გაიღება სადილობის დროს.

უსუფ-აღა

—

**ს. ქედა** (ქვედა აჭარა). წელს ჩვენში სიმინდის მოსავალი შარშანდელზედ უფრო ნაკლებია. ზოგან, საცა ჩრდილი ადგილებია, არა უშავდა-რა, ცხელ ადგილებში-კი სულ სიცხემ ამოსწვა. სამყოფი სიმინდი არ მოსვლია ღარიბ ხალხსა. ხეხილის მოსავალი, უმეტესად კაკალი, ბევრია. შარშან სულ არ იყო, წრეულს ორის წლისა ერთად მოვიდა; მოსწრებული კაცები ამბობენ, რომ წლევანდელი წელი კაკლის მოსავლის წელიწადიაო. უკანასკნელ მოსახლე კაცსა ასი და ორასი ოყა კაკალი მოუვიდა. ვაჭრები ბათომიდგან მოდიან და ოყას ორ-ორ შაურად ყიდულობენ და ბათომში მიაქვთ. ამ დღეებში ჩვენში კაკლის ვაჭრობაა და კარგი სარგებლობაც არის.

ყურძენს პირველად კარგი პირი უჩანდა, მაგრამ ბოლოს გვიმტყუნა. ისე დანაცრა, რომ ზედ გახმა, აქა-იქ სოფლებში ჩხავერი ყურძენი არის, მაგრამ იმასაც ხეირი არ აქვს.

ვაშლი შუა აჭარაში ნაკლებია და მაჭახელის მხარესა და ზედა აჭარაში შარშანდელზედ უფრო მეტი იქნება.

ერთი წელიწადია, სკოლის აშენების გამო ჩვენი ხალხიც წვალებაშია: აგერ ორი-სამი თვეა, რაც აშენდა, მასწავლებელიც მოვიდა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ბავშვების სწავლება არ დაწყებულა. შორ სოფლებიდგან მოყვანა ბავშვებისა შეუძლებელია; ახლო მახლო სოფლები ოთხი-ხუთის ვერსის მანძილზეა. გზებში პატარ-პატარა ხევები, ღელეები არის და ზედ თითო ხეა ხიდათ გადებული. ამ კვერნის ხიდებზე ცხრა-ათის წლის ბავშვების ავდარში გავლა-გამოვლა მოუხერხებელია. დედ-მამას თავის შვილების დაღუპვა არ უნდათ, თორემ სწავლა-განათლება გულით და სულით ენატრებათ. შორ სოფლებიდგან ბავშვებიც რომ მოვიდნენ, სადგომი ბინაც არ ექნებათ. ჩვენი ხალხი იმდენად მდიდარი არ არის, რომ ოთახი იქირაოს და ბავშვები სასწავლებელში ამყოფოს. სახელმწიფო გადასახადსაც დიდის წვალებით ვიხდით.

ასეთ მწუხარებაში არიან ჩვენი ღარიბი აჭარლები.

ამას წინად ოთხი ამხანაგი აჭარლები თურმე ბათომიდგან აჭარისკენ ერთად მოდიოდნენ. ერთს მათგანს, სოფელ მეძიბნის მცხოვრებს მოხმედ ადა-ოღლის სამასი მანეთი ფული ჰქონია და, როდესაც შუა კახაბერში მოვიდნენ, სამმა ამხანაგმა ეს საწყალი კაცი მაღალ სიმინდებში შეათრიეს და, როგორც ხარი, ისე დასჭრეს დანებით და წაართვეს ფული. დამნაშავენი ბათომში ჩასულან. პოლიციას ორი დამნაშავე დაუჭერია და ერთ მათგანს, სოფ. გოულების მცხოვრებს — აბდულას უშველნია თავისთვის და ოსმალეთში გაქცეულა.

აბდულ იფენდი მიქელაძე.

## რუსეთი

ერობის მოღვაწენი, როგორც ვიცით, მოწვეულნი არიან ამ ჟამად პეტერბურგში ცალკე კომისიად სახელმწიფო სეკრეტრის ვ. ნ. კოკოვცევის თავმჯდომარეობით შუა გულ რუსეთის გათახსირების შესახებ მოსალაპარაკებლად. ერობის წარმომადგენლთ ის აზრი გამოსთქვეს, რომ შუა-გულ რუსეთის წინ წაწევა და წარმატება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ბევრ-გვარი ცვლილება და რეფორმები იქმნება შემოღებული გლეხ-კაცობის არა მარტო ნივთიერ, არამედ სულიერ, უფლებრივს, საზოგადო და კულტურულ ცხოვრებაში. ერობის წარმომადგენლებმა დიდი ყურადღება მიაქციეს ისტორიულ მიზეზებსაც. მათ შორის ყველაზედ დიდი გავლენა ჰქონდა შუა-გულ რუსეთის გათახსირებაზედ ბატონ-ყმობასაო. ცხოვრების გარეგან ვითარების განკარგებას არ უარ-ვყოფთ, მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს ერის კეთილდღეობის წარსამატებლად თვით გლეხ-კაცის გაადამიანებასაო. მხოლოდ განათლება, ამაღლება ადამიანობისა, თვით მოქმედება აძლიერებს და ამრავლებს არსებობისათვის ბრძოლის სალსარსა და ღონისძიებას. ყოველივე ეგ ერთი-ორად ჰმატებს კაცს ენერგიას და უღვიძებს იმედს თავისის მდგომარეობის განკარგებისასაო.

— ნიჟეგოროდის ერობას აქვს საკუთარი თანხა 200,000 მ. შინად-მრეწველობის გასაძლიერებლად. ფინანსთა სამინისტრომაც გადასდო 320,000 იმ აზრით, რომ ეს ფულიც სამუშაოდ იქონიოს ამ ერობამ ზემოხსენებულის მრეწველობის გასაძლიერებლად.

— მალე გაუქმდება სტატისტიკური კომიტეტი, სრულიად რუსეთის ხალხის აღწერისათვის დაარსებული, ძ 1000-ზედ მეტი დედა კაცი, რომელთაც იქ სამუშაო ჰქონდათ, ულუკმა-პუროდ დარჩება. ამიტომ გაუმართავთ პეტერბურგში საქველ-მოქმედო კონცერტი, რომლიდანაც შემოსულა 800 მან. ეს ფული უნდა მოახმარონ წიგნების ფურცლების დასაკეც სახელოსნოს გამართვას, სადაც, თუ ბლომად იქმნა საქმე, 200 გაჭირვებული დედაკაცი მაინც იშოვის სამუშაოსაო.

— პირველი სრულიად რუსეთის კრება გომეოპატებისა დანიშნულ იქმნა მერმის შემოდგომისათვის, სახელდობრ, 14 ნოემბერს.

— ვორონეჟის გუბერნიის ბობროვის სამაზრო ერობამ გადასწყვიტა დიდი და ყოველნაირი შემწეობა აღმოუჩინოს ახალ წესის სოფლის ბანკებს, ესრედ-წოდებულ საკრედიტო ამხანაგობათ.

— სამსახურს გარეშე მყოფ კაპიტანს ასკარხანოვს, რომელმაც უმზგავსის წერილების მიწერით შეურაცხყოფა მიაყენა ყველასაგან პატივცემულს პ. ვეინბერგს, სალიტერატურო ფონდის თავმჯდომარეს, მიუსაჯეს ორის კვირით ციხეში დამწყვდევა. ვეინბერგის ვექილი კარაბჩევსკი იყო. ვეინბერგის დანაშაული ის იყო, რომ ასკარხანოვს არ აპატივა პლაგიატი და ამხილა, როცა მან ქრისტომატია დაჰბეჭდა, შენ ნება არა გქონდა გადაგებეჭდა გარშინისა და სხვათა მოთხრობანი, ესე იგი დაიცვა, როგორც სალიტერატურო ფონდის თავმჯდომარემ, ავტორთა უფლებანი. განაჩენი სასამართლოსი დიდის ტაშის კვრით იქმნა მოსმენილი დამსწრე საზოგადოების მიერ, ხოლო ავტორი „Половая психологія“-სი და „Красота женскего тѣла“-სი შერცხვენილ და გამტყუნებულ იქმნა.

## უცხოეთი

**იაპონია.** თუმცა ამ უკანასკნელ ხანად რუსეთსა და იაპონიას შორის მოლაპარაკებაა გამართული შორეულ აღმოსავლეთის საქმეთა შესახებ და ორთავე სახელმწიფო მოწადინებულია მშვიდობიანად მორიგდნენ ერთმანეთში, გაზ. „მორნ. პოსტ“-ი მაინც ირწმუნება, — იაპონია არასოდეს არ მისცემს ნებას რუსეთს მანჯურიაში გაბატონდეს და სხვის დაუკითხავად განაგოს მისი საქმეებიო.

გაზეთი ამბობს, — იაპონია ჰგონებს, რომ რუსეთი შეუსრულებს დიდ სახელმწიფოებს პირობასა და მანჯურიიდგან გაიყვანს თავის ჯარებსა. რაიცა შეეხება კორეის დამოუკიდებლობას, იგი უზრუნველყოფილია 1898 წელს დამტკიცებულ კონვენციითაო.

ამ პირობათა მიხედვით რუსეთმა არ უნდა მოიწადინოს ხელი შეახოს კორეის დამოუკიდებლობას და მით კიდევ უფრო გაამწვავოს ისედაც გამწვავებული საქმეები.

დასასრულ, რადგან იაპონიამ ხელახლად დაუთმო ჩინეთს კორეია, თუმცა იგი დროებით, 1894—1895 წლებში, მის ხელში იყო, (დიდ სახელმწიფოთა

აზრით, უამისოდ შეუძლებელი იყო მშვიდობიანობის აღდგენა), ახლა იაპონია არას გზით არ დასთანხმდება, რომ მანჯურიის პროვინციაში სხვა რომელიმე სახელმწიფო გაბატონდეს, გარდა ჩინეთისაო“.

— ამერიკელ წარჩინებულ დიპლომატს ბერრეტს ლაპარაკი ჰქონია გაზ. „ნიუ-იორკ ჰერ.“-ის თანამშრომელთან შორეულ აღმოსავლეთის ახლანდელ ვითარების შესახებ და, სხვათა შორის განუცხადებია,— თუ იაპონიასა და რუსეთს შორის ომი ასტყდა, ამერიკის სავაჭრო საქმეებს დიდი ზიანი მიეცემა, და ამიტომ ჩვენმა დიპლომატებმა ყოველი ღონისძიება უნდა იხმარონ, რომ ომი არ ასტყდეს, რადგან, სულ ერთია, ვინც უნდა გაიმარჯვოს, ჩვენ მაინც დიდი ზარალი ზარალი მოგვეცემაო. ამ უკანასკნელ ხანად დიდძალ საქონელს ეზიდებიან ამერიკიდგან აღმოსავლეთ-ჩინეთში; ამისათვის დიდად საჭიროა, რომ შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობიანობა არ დაირღვეს და ჩვენი აღებ-მიცემობა არ შეფერხდეს; რაც უნდა გახდეს, უნდა ვეცადოთ, შევირჩინოთ ის უფლებანი, რომელიც ჩინეთ-ამერიკის სავაჭრო ხელშეკრულობის ძალითა გვაქვს მოპოებულიო.

— როგორც გაზ. „ინდეპ. ბელჟ“-ს ატყობინებენ სომიდგან, 45 იაპონელ ოფიცერს, რომელნიც ზაკკონიჯისა და მოდენის უმაღლეს სამხედრო სკოლებში სწავლობდნენ, ბრძანება მოსვლიათ დეპეშით,—დაუყოვნებლივ წამოდით ტოკიოსაო. ოფიცრები მაშინვე გაემართნენ ბრინდიზს და იქიდგან იაპონიას გაემგზავრნენო.

— როგორც გაზ. „ტაიმს“-ს ატყობინებენ დეპეშით შანხაიდგან, ოქტომბრის 17-ს დაუმტკიცებიათ იაპონია-ჩინეთის სავაჭრო ხელშეკრულობა ინგლისურს ენაზედ.

**ოსმალეთი**. როგორც ეტყობა, პორტა წინააღმდეგია მიიღოს სახელმძღვანელოდ ავსტრია-რუსეთის მიერ წარდგენილი ნოტა. პორტა თხოულობს პირველ მუხლების შეცვლას, ხოლო ავსტრიისა და რუსეთის ელჩთ, როგორც გაზ. „ტაიმს“-ს ატყობინებენ სოფიიდგან, განუცხადებიათ,—ჩვენ ვერც კი გავბედავთ ვთხოვოთ ჩვენს მთავრობებსა რაიმე ცვლილება მოახდინონო. პორტა კი გადაჭრით უარჰყოფს ნოტის პირველ ორ მუხლსა, რადგან ეს ყოვლად შეუსაბამოა, როგორც ხონთქრის უფლებისა, ისე მხედრობის სახელისათვისაო.

„რეიტერის სააგენტო“-ს ატყობინებენ სტამბოლიდგან,—წმ. სოფიოს მეჩითის კედლებზე გაკრულია პროკლამაციები ოსმალურს ენაზედ წინააღმდეგ რეფორმათა პროექტისაო. მოხელე ოსმალნი თითქმის ყოველ დღე უსახელო მუქარის წერილებს ღებულობენო.

—

### პირველ-დასაწყისი სკოლები ინგლისში.

პირველ-დაწყებითი განათლება ინგლისში უსასყიდლო და სავალდებულო არის. სკოლებში არსებობს ვრცელი პროგრამმა: ასწავლიან სამშობლო ენის და ანგარიშისგარდა გეოგრაფიას, ისტორიას, ბუნების მეტყველებას და მრავალი მოსწავლეთაგანი სწავლობს აგრეთვე არა სავალდებულო საგნებსაც: ალგებრას, ფიზიკას, ქიმიას, ნემეცურ და ფრანგულს ენებს. ნორმალური კურსი პირველ-დაწყებითის სკოლისა შესდგება შვიდის კლასიდგან. პირველ-დაწყებითს განათლებას ამთავრებს აქ ბავშვი დაახლოვებით მეთოთხმეტე წლისა დაბადებიდგან. გარდა ამისა, სასკოლო კომიტეტი ჰმართავს კიდევ საღამოს კურსებს, რომლებიც ითვლება განგრძობად პირველ-დაწყებითის სკოლის კურსისა. მდგომარეობა მასწავლებლებისა მეტად უზრუნველ ყოფილა: მასწვლებელნი კაცნი იღებენ 1,240—3,000 მანეთამდე წლიურად, მასწავლებელნი—ქალნი-კი 830—2,000 მანეთამდე.

# თეატრი და ხელოვნება

### ქართული თეატრი.

კვირას, 27 ოკდომბერს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქმნა გ. ნ. სუნდუკიანცის კომედია „ხათაბალა“.

ეს პიესა ერთი იმ ძველ პიესათაგანია, რომელთაც ეხლა მხოლოდ ისტორიული ინტერესი-ღა შერჩენიათ.

იმდენად საინტერესოა ასეთი პიესების წარმოდგენა, რამდენად ისინი ნამდვილად, ტიპიურად,—მართლად ახასიათებენ ოჯახურს თუ სოციალურ წყობილებას, ადამიანთა ურთი-ერთობას, რომელიც ჩვენგან კარგა მანძილზედ დაშორებულ დროში სუფევდა.

ამ მხრივ „ხათაბალა“ ყოველთვის საინტერესო იქნება. იმიტომ, რომ ნიჭიერ კალამს დრამატურგისას სინამდვილით აღუბეჭდია ზოგიერთი ნაკლულევანება სატკივარი, რომელიც განუვითარებელ საზოგადოება სჩვევია.

მაგრამ ხათაბალა ის არის, რომ ცხოვრება ერთ წერტილზედ არ არის შეჩერებული, დროთა ბრუნვას სულ ახალ-ახალი აზრი-საკითხი მოაქვს, ახალ ელფერს სდებს ძველ წესს, ჩვეულებას და ვაი იმ საზოგადოებას, რომელიც არ მიჰყვება, არ შეითვისებს, პასუხს არ გასცემს ამ ახალ დაბადებულ აზრთა და მოვლენათ. გერასიმ იაკულიჩ ზამბახოვები, ხიზხიმოვები და სხ. უეჭველია ეხლაც იმავ გზას მოტყუებისას, ექსპლუატაციისას ადგანან, უეჭველია ეხლაც აზრათ ისევ სხვის ადამიანურ ღირსების გაქელვა, თავისი კერძო ბედნიერება ექნებათ, მაგრამ დროს-შესაფერი მათი „მოღვაწეობა“ სულ სხვა ხასიათისაა; სულ სხვა სახე დაუდვია და სულ სხვა ასპარეზი გაუჩენია მისთვის დროს, ამიტომაც ჩვენი რეპერტუარის ის პიესები, რომელნიც მარტო ცხოვრების ძველ ფორმებს შეეხებიან, თუნდაც ნიჭიერად ახასიათებდნენ ჩვენის საზოგადოების წარსულ ნაკლულევანებასა და სატკივარს, ბევრს ვერას მისცემს თანამედროვე მაყურებელს, რომელიც გვერდს ვერ აუხვევს ვერც ერთს ახალს აზრს, მოვლენას, თუ უნდა თავის განვითარება ერთს წერტილზედ არ შეჩერდეს, დროს არ ჩამორჩეს. თვით წარმოდგენამ სავსებით ვერ დაგვაკმაყოფილა, რაღაც უგულობა ეტყობოდა მსახიობთა თამაშობას.

კარგნი იყვნენ: კ. ყიფიანი ზამბახოვის როლში, ელ. ჩერქეზიშვილისა ქეთევანისა და ნ. გაბუნია-ცაგარლისა ხამფერას როლში.

მ. საფაროვ-აბაშიძისამ, რომელიც ნატალიას როლს ასრულებდა, თავისი ბუნებრივი, ნიჭიერის თამაშობით და მღერით ბევრი ასიამოვნა საზოგადოება და, უეჭველია, არა ერთი გაიფიქრებდა იმ საღამოს, რა ნაკლს შეადგენს ჩვენი სცენისათვის მისი უდროოდ სცენის მოშორება. არა-უჭირდათრა ქ. ნებიერიძისას (მარგალიტა), სვიმონიძეს (გიორგი) და სხვ.

აწყურელმა როლის ერთი სიტყვაც არ იცოდა, და მისმა გამუდმებით სუფლიორისკენ ცქერამ და პაუზებმა, სრულებით დაუკარგეს სიცოცხლე ისაიას საინტერესო როლს.

თეატრში ხალხი ნაკლებად იყო.

პატარა შენიშვნა. მეორე მოქმედებაში, როცა გიორგი და ნატალია მარტონი ლაპარაკობენ, სცენის წინა კარები თითქმის ნახევრად იყო ღია და ვილაც მთელს მოქმედებაში იცქირებოდა იქიდან, რაც შთაბეჭდილებას აფუჭებდა.

ქ. ყი—ნი.

—

ავლაბრის ახალი თეატრი. შაბათს, 26 ოკდომბერს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქმნა ბ-ნ ვალ. გუნიას ისტორიული ხუთმოქმედებიანი დრამა „და ძმა“. წარმოდგენამ ძლიერ სუსტად ჩაიარა, მაგრამ როგორ გავამტყუნოთ ჩვენი არტისტები, რომელთაც სცენაზედ გამოსვლის ხანს,—პარტერს რომ გადაჰხედავდნენ,—გული უღონდებოდათ ხოლმე, ისეთი ქრისტეს ტირილი იყო თეატრის დარბაზში.

მთელი დრამა „მხრებზედ მოკიდებით დაათავეს“, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქ-ნმა ჩერქეზიშვილმა, ბ-ნთ სვიმონიძემ, კ. ყიფიანმა და ი. ივანიძემ, განსაკუთრებით ამ უკანასკნელმა. მისმა გრძნობიერმა და დაკვირვებულმა თამაშობამ ბევრს მოჰგვარა თვალებზედ ცრემლები.

ბ-ნი სვიმონიძე კარგი გაიოზი იყო, მაგრამ რა ჰქნას მსახიობმა იქ, სადაც მარინესაკენ ყოველი გადახედვა ცივს ოფლს დაასხამს? დიდი და დიდი შეცდომაა ქ-ნ ნებიერიძისათვის ისეთის დიდის როლის დაკისრება, როგორიც მარინეს როლია. თუმცა ძლიერ სცდილობდა ქ-ნი ნებიერიძისა, რომ როგორმე კარგად ეთამაშნა თავისი როლი, მაგრამ შეუძლებლის შეძლება ყოვლად მოუხერხებელია. ბ. სვიმონიძის გაიოზისათვის ქ-ნ ნებიერიძის მარინე ფეხთ-ბორკილი იყო.

ზემოხსენებულს ოთხს გარდა, არც ერთი არ იყო თავის ადგილას. თურქის როლი რა არის, ისიც-კი სრულიად გააფუჭა და გააქარწყლა ბ-ნმა საფაროვმა. არც ხორო, არც რიგიანი სტატისტები!.. ელექტრონით განათებაზედ ხომ აღარაფერი ითქმის!.. იმ ადგილას, საცა უნდა ბნელოდეს (სცენა ციხეში), საცა მარინეს სიბნელის გამო ტყვეებში ვერ გაურჩევია თავისი ძმა გაიოზი, ისე გაჩირაღდნებულ-გალაზღაზებული იყო სცენა, რომ არამც თუ კაცს, არამედ ნემსსა და ქინძისთავსაც-კი კარგად გაარჩევდით!..

ასეთი „და-ძმა“ ჯერ არ გვინახავს!

დ. ჯ—ი.

—

**ქუთაისი**. როგორც იყო, გველირსა ქართულ თეატრის სეზონის დაწყება. პარასკევს, 24 ამ თვეს, „სამშობლო“ წარმოადგინეს. დიდის ამბით მოელოდა აქაური საზოგადოება ქართულ წარმოდგენების დაწყებას და უფრო მეტად-კი ტფილისელ არტისტების ხილვას ჩვენს სცენაზე. ვიხილეთ ბ-ნი გუნია შაჰის როლში, ბ-ნი სვიმონიძე—ლევანისაში და ვ. გამყრელიძე—სვიმონ ლიონიძის როლში. ვნახეთ, მაგრამ ის, რაც მოეთხოვება ასეთ დახელოვნებულ არტისტებს და რისაც მოველოდით—ვერ გაამართლეს. ყველა თითქო ძალიან გულ გრილად ეკიდებოდა თავის მოვალეობას. ისმოდა მარტო ცივათ წამოსროლილი სიტყვები და არავითარი გრძნობა არ სჩანდა. ბ-ნ გუნიას მიერ დახასიათებული შაჰი-კი მშვენიერი იყო. რამდენჯერ მინახავს სხვა-და-სხვა არტისტების მიერ წარმოდგენილი შაჰის როლი, მაგრამ ასეთი მშვენიერი ტიპი არც ერთი არ ყოფილა. ბ-ნი გამყრელიძე ვერ იყო გუნებაზე. ქ. გარგარეთელი არ ვარგოდა ქეთევანის როლში. ყოველი მისი მოძრაობა, მიმიკა, რაღაც ძალდატანებული იყო. დანარჩენებიც ძლიერ სუსტობდნენ.

სცენა საუცხოვოდ იყო მოწყობილი. აგრეთვე კარგი ტანისამოსები აქვთ მსახიობთ. წინანდელ გახუნებულ ქულაჯებისა და დაჭმუჭნულ კაბების მაგივრად, ახლა სულ ახალი ტანსაცმელები იყო. ხალხი, რამდენიც მოსალოდნელი იყო, იმდენი ვერ დაესწრო. საზოგადოდ, ისტორიულ პიესებს არ ეწყობიან აქაური მცხოვრებნი. იმედია დრამატიული საზოგადოება ეცდება ისეთი პიესები ამოარჩიოს, რომელიც იზიდავს საზოგადოებას და არა ძველი დრამები, რომელიც თითქმის ყველას უნახავს რამდენჯერმე.

Alliense.

# ბიბლიოგრაფია

### Gli Armeni cattolici in Georgia e le questioni fia cattolici Armeni e Georgiani.

(შემდეგი *)

მესამე მოხსენება, რომელიც ვენეციაში რომიდან გაუგზავნია 5 ივნისს, გვ. 21—37,—ამ სათაურით იწყება: «მოკლე შენიშვნა რუსეთის კავკასიის კათოლიკე მისსიონერებისა და კათოლიკე სომხებსა და ქართველთა შუა აღძრულის საკითხის შესახებ ჩემი იქ მისვლის წინად და შემდგომ. წარმოდგენა საჩივრებისა წინააღმდეგ ჩემი მისიისა და ჩემის შრომისა კათოლიკობის სასარგებლოდ. Breve cenne sulle missioni cattoliche nel Caucaso Reusso sulle questioni fia cattolici Armeni e Georgiani avanti e dopo il mio arrivo in quete regioni. Esposizione delle accuse che si rivolqono alla mia missione, all' opera mia in favore del Cattolicismo».

1821 და 1828 წლებში სომეხ-გრიგორიანებისაგან აღძრული ფიცხელი დევნულობის გამო, საქართველოს კათოლიკენი აღარ ნდომულობდნენ წოდებულიყვნენ სომეხ-კათოლიკედ, არამედ დაირქვეს ფრანგი ანუ რომის კათოლიკეთ. ოსმალოს და რუსის მთავრობის სომხებისადმი წინააღმდეგი პოლიტიკით ზოგიერთმა ლათინის წესის მღვდლებმა ისარგებლეს და მრევლს ჩააგონეს ქართველ ტომად აღიარებინათ თავიანთი თავი, რის გამო ბევრი სარგებლობა ექმნებოდათო; ამ საშუალებით მათ შეადგინეს, აგერ ოცი წელიწადი იქნება, ერთი გუნდი ლათინის წესის ახალი ქართველ-კათოლიკეებისა და დაუწყეს შეურაცხება და ომი სომხის კათოლიკეებს; რის გამო ზოგიერთი ამათგანი შეუერთდნენ სომეხ-გრიგორიანების ეკკლესიასო. აქვე აღწერს ართვინის კათოლიკეების შემოერთებას, ევროპაში სწავლა-განათლების მიღებას, იქვე მღვდლად კურთხევას, იქიდგან ალექსანდროპოლში მისვლას, თავისს საკვირველ შრომას კათოლიკეების სასარგებლოდ და თავის იქიდან ტფილისში გადმოყვანას. აგრეთვე იხსენიებს ვრცლად თავისს გამოვლილს შეწუხებათა, რაიც ვითომ მიუყენებია ტფილისის ეკკლესიის წინამძღვარს მამა პავლე ყალაიჯევს და რასაც უწოდებს თავისს ხანგრძლივ წამებულობას. მასთანვე დასძენს, ტფილისის სამრევლო სკოლაში არ მიმიშვეს სომხური მესწავლებინაო. ჩემი საქციელი, ყოფა-ცხოვრება და მოქმედება მეტად სასიამოვნო და სამაგალითო შეიქმნა მრევლისათვის და ბევრი სომეხი გრიგორიანები მოიზიდა ეკკლესიაშიო. მე მუდამ მომხრე ვარ სომხური ტიბიკონისა, რადგან რომისგან დამტკიცებულიაო, ხოლო ეს გალათინებულები-კი მას, როგორც უნდათ ისე სცვლიან, ამახინჯებენ და სომეხ-კათოლიკე ეკკლესიაში, სომხურის ნაცვლად, ქართული ენა შეაქვთო, და სომხის მღვდელს არ უშვებენ თავისი მოვალეობა შეასრულოსო. აქვე მოჰყავს ოთხი მუხლი იმ საჩივრებისა, რომლებიც მასზედ სარატოვის ეპისკოპოსისათვის მიუციათ და თავს იმართლებს ამ ბრალდებულებათაგან. თავისს უმთავრეს მტრად და მოჩივრად სახავს ოთხს: ტფილისის ეკკლესიის წინამძღვარს, მამა პავლე ყალაიჯევს, მამა ალფონს ხითაროვს, მამა ივანე ანტონოვს და კაფუჩინს ტრაპიზონში მყოფ პატრი ევგენიოსს, რომელმაც შარშან საქართველოში გამოიარა. ამათ ყველანაირ უშვერის სიტყვებით ამკობს და ჩამოსთვლის ყოველ სიავეს, რაც-კი გაუგონია მათზედ, ტყუილი თუ მართალი, და ბოლოს უჩვენებს სომხებში კათოლიკობის დიდს წარმატებას, ხოლო ქართველობაში კათოლიკობის გავრცელებას აბრალებს გაქართველებულ მღვდლების უმეცრებას, სუსტობას და ანგარებას და მთელის რომისგან წრფელ მსჯელობას.

რა ვნახეთ ეს წერილი გამოქვეყნებული, დიდად გაგვკვირდით ავტორის მეტიჩრობასა და თავგასულობაზედ, რომ ჩვენს წინააღმდეგ ეგოდენ სიცრუეს და ცილის წამებას ევროპაშიცავრცელებს: არ იკმარა, რაც აქამდე სომხური და რუსული გაზეთებით გავრცელებინათ მის თანამემამულეთ. ამისთვის არ გვინდა უყურადღებოდ დავტოვოთ ესეთი თავხედური წერილი. მივუძღვნით ყველა ნაწილს მოკლე პასუხს.

მღ. მიხელ თამარაშვილი.

---

*) იხილე „ივერია“ № 228.

---

# წერილი

## რედაქციის მიმართ

### უცნაური ხარკი

ორმოცი წელიწადია ვხელოსნობ და ამ ხნის განმავლობაში რევიზორიც ბევრი მინახავს და ინსპექტორიც. ისეთი უცნაური-კი არა მინახავს რა, რაც 23 ამ თვესა ვნახე. ორი კაკარდოსანი შემოვიდნენ ჩემთან და ერთიც თანამხლებელი შემოჰყვათ. აათვალიერ-ჩაათვალიერეს შკაფები, გამოსწიეს შკაფის ყუთები და გილდი მომკითხეს. მეც ჩვეულებრივ ჩამოვიღე ის მოწმობა, რომელსაც ხაზინაში ვიღებთ და 4 კაცის მუშაობის ნებას გვანიჭებს (ღირს 6 მანეთი, თუ მეტს ამუშავებ მაშინ—12 მანეთიანია საჭირო). ეს არა კმარაო ამიხირდა ერთი: სამ თუმნიანი გილდი უნდა აიღოო. თუ ამ ორ დღეში არ აიღია, ჯარიმა გადაგხდებაო. მეც, გულ-გახეთქილმა შემოვირბინე ისეთი ხელოსნები, რომელთაც ჩემი ყიდვა-გაყიდვა შეუძლიანთ და ამგვარი გილდი ვერსადა ვნახე. ყველამ, ვისაც შევჩივლე, ხაპი ყოფილა ვინმეო, მითხრა. დავბრუნდი არხეინად, მაგრამ 24-ღამით კიდევ მომადგა ერთი კაკარდოსანი თავისის თანამხლებით. მკითხა: აიღე თუ არა გილდიო?. მოვახსენი, რომ ვიკითხე და საჭირო არ ყოფილა მეთქი. თანამხლებელმა ცეცხლი წაიკიდა, სად ან რათ იკითხე, იქით სხვა „პოდატნი ინსპექტორები“ არიან, აქეთ—სხვანიო.—ეგ სულ ერთია, კანონი, ვგონებ, ხიდს გაღმაცა და გამოღმაც ერთი იქნება-მეთქი, ვუთხარი. გაგულისებული [illegible] კარებს და კაკარდოსანიც თან გაჰყვა.

ნეტა ვიცოდე, ეს ახალი ხარკი და ისიც მარტო ჩემზედ საიდან გამოსძებნეს, ან სად შეუძლიან ხელოსანს სამის თუმნების ძლევა, როცა ნახევრობით ქირა ვერ გადაუხდია დუქნისა. უმრავლესობა ხომ ადამიანურ ცხოვრებას მოკლებულია. ძალიან სამადლო საქმეს იზამენ, რომ რუსულმა გაზეთებმაც გადაჰბეჭდონ ეს წერილი.

ფეხ-საცმელთ მკერვალი ს. ბერძნიშვილი

II

თქვენის გაზეთის „ივერიის“ 225-ში მოთავსებულ რეცენზიაში მოხსენებულია „ი. იმედაშვილი“; რადგანაც საზოგადოების უმრავლესობას ი. (ივანე—არც ჩემი ძმაა) იმედაშვილის სახელით მე, იოსებ იმედაშვილი, მიგაჩნივარ, მით უმეტეს, რომ ავლაბრის სახალხო თეატრში შარშანდელ სეზონში წარმოდგენებს (სულ 26 წარმოდგენა) მე ვმართავდი, ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ, გამოაცხადოთ, რომ ეს ხუთი თვე იქნება, რაც მე, ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზის გამო, თავი დავანებე ავლაბრის (მურაშკოს) თეატრის სცენის მოყვარეთა დასის რეჟისორობას და დასში აღარავითარ მონაწილეობას აღარ ვიღებ.

იოსებ იმედაშვილი.

### „ივერიის“ ფოსტა

**დ. ჭიათურაში**. ბ-ნ რკინელს. თქვენი წერილი რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზით ვერ იბეჭდება.

**ბესიკო ვაშაკიძეს**. თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

**ივანე ესტატეს ძეს მაისურაძეს**. თქვენი წერილი რედაქციის მიმართ არ დაიბეჭდება.

**ი. ტ—ლს**. თქვენი ლექსი „დ. მაჩხანელის ხსოვნას“ არ დაიბეჭდება.

**მეგობარს**. არც თქვენი ლექსი დაიბეჭდება.

**ხ ტატორიშვილს**. თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

**ვ კვირიკელს**. თქვენი ლექსები არ დაიბეჭდება.

**პერსოპულოსთან მყოფ მეტივეთა უფროსს**. თქვენი გამოგზავნილი წერილი არ დაიბეჭდება. ჯერ ერთი, რომ რუსულად დაწერილს არ ჰბეჭდავს ჩვენი გაზეთი და მეორეც—იმ წერილში თქვენს თავს თქვენვე აქებთ. გაზეთი ჰღირს წელიწადში 10 მან. ამ ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ფას-დადებით გაზეთი არავის ეგზავნება.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 ოკდომბერი

**კიევი**. დღეს, ჩაიკოვსკის გარდაცვალების ათის წლის თავზე, ვლადიმირის ტაძარში წირვა გადაიხადეს. ჩაიკოვსკის ლიტურგიას გალობდა დასი, ასამდე არტისტი კაცი და არტისტი-ქალი საოპერო თეატრისა.

**ვარშავა**. ჩაიკოვსკის გარდაცვალების ათის წლის თავზე ტაძარში წირვა და პანაშვიდი გადაიხადეს. ჩაიკოვსკის ლიტურგია იგალობეს. საღამოთი საქალაქო გამგეობის დარბაზში კონცერტი გაიმართა და სულ განსვენებულ კომპოზიტორის ნაწარმოები შეასრულეს.

**ვლადიმირი**. გადასწყვიტეს, რომ 1905 წელს ვლადიმირში ისტორიკოსთა და არქეოლოგთა კრება მოახდინონ.

**მოსკოვი**. ჩაიკოვსკის გარდაცვალების ათის წლის თავზე ამაღლების ტაძარში წირვა და პანაშვიდი გადაიხადეს. სინოდის ხორო მარტო განსვენებულის ნაწარმოებს გალობდა.

**ტანჟერი**. სულთანმა ევროპიელებს ფეცში შესვლა აუკრძალა. ფეცში შესვლის უფლება მარტო საფრანგეთის კონსულს ექნება.

26 ოკდომბერი.

**პეტერბურგი**. ხელმწიფე-იმპერატორი და ხელმწიფე დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული უავგუსტოესის შვილებით ვოლფსგარტენიდან სკერნევიცს წაბრძანდნენ. მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ თან გაჰყვა ჰესენის დიდი ჰერცოგი თავის ქალით—პრინცესა ელისაბედით.

**სოფია**. მთავრობა კრებას წარუდგენს წინადადებას, რომ ავსტრიასთან სავაჭრო ხელ-შეკრულობა ერთის წლით უცვლელად დარჩეს.

**დარმშტადტი**. ლამსდორფი გუშინ საღამოს აქედან წავიდა.

27 ოკდომბერი

**პეტერბურგი**. ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა უავგუსტოესის შვილებით, და დიდი ჰერცოგი ჰესენისა ქალიშვილით, პრინცესსა ელისაბედითურთ, 26 ოკდომბერს მობრძანდნენ სკერნევიცს.

**ელეცი**. დაიწვა სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინის გზათა სახელოსნოები, საწყობები, სახელოსნონი და 20 ორთქლმავალი, რომელნიც შესაკეთებლად იყო სახელოსნოებში.

**კოვნო** და **როსტოვი**. გუშინ, დიდებულის კომპოზიტორის ჩაიკოვსკის გარდაცვალებიდგან 10 წლის შესრულების თავზედ პატივი სცეს განსვენებულის სახსენებელს.

**ბერლინი**. იმპერატორს ოპერაცია გაუკეთეს ხორცმეტების ამოსაჭრელად. ოპერაციამ, რომელიც შმიტმა გაუკეთა, კარგად ჩაიარა. ჭრილობის მორჩენამდე აკრძალული აქვს ლაპარაკი. დღეს იმპერატორმა მიიღო მოხსენებისათვის იმპერიის განცლერი გრაფი ბიულოვი.

**ფლორენცია**. ელჩის ნელიდოვის, რუსეთის მთავარ კონსულის ადმირალის განე-

რიუსისა და სხვათა მრავალთა თანადასწრებით დიდის ამბით აკურთხეს ახალი რუსთა ეკკლესია.

**ნიუ იორკი.** ბუნოვარილია, პანამის არხის საზოგადოების ერთი საფინანსო აგენტთაგანი, დაინიშნა პანამის ახალის მთავრობის დიპლომატიურ აგენტად ვაშინგტონში.

**ბერლინი.** იმპერატორის დღევანდელი ბიულეტენი: «გუშინდელი დღე იმპერატორმა ვილჰელმა გაატარა მშვიდად. მთელი ღამე სუდ ეძინა; გარეგანი შეხედულება პატარა ჭრილობისა დამაკმაყოფილებელია; ტემპერატურა 36,3; მაჯა 60“.

### პეტერბურგის ბირჟა 24 ოკდომბერს

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,70 |
| ბერლინში 100 მარკაში | 45,90 |
| პარიჟში 100 ფრანკში | 37,35 |
| ლონდონში ჩეკები | 94,65 |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | 37,62½ |
| ბირჟის დისკონტი | 5—6½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 99½ |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4½% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.. მამულო ბანკისა | 95⅛ მყიდ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 451½ მყიდ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 339 წვ. გაყიდ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა. | 286½ წვრ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა. | — |
| 4½% ტფილ. სადგ. მამ. ბანკისა გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა | 91⅞ |
| 6% ქუთ. სა.. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |

### რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოქდომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

**ბათომს:** 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 6 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

**ბაქოს:** 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

**ყარს-ერევანს:** 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

**ტფილის-ბაქოსაკენ:** 1) დილის 9 ს. 32 წ. 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

**ტფილის-ბათომისაკენ:** 1) შუადღის 1 ს 48 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს. 8 წ.

დ) ქუთაისიდან:

**ბათომისაკენ:** 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

**ტფილის-ბაქოსაკენ:** ღამის 3 ს. 58 წ.

ე) შორაპნიდან:

**ჭიათურა-დარკვეთისაკენ:** 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

**შორაპნისაკენ:** 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

### გამოსადეგი ცნობები.

დაწესდა დღე და ღამ მორიგეობა ბებია-ქალთა ქალაქის სამკურნალოში, რომელიც მუხრანის ქუჩაზედ და ტალგის საბებიო ინსტიტუტში.

ყველამ, ვისაც დასჭირდება ბებია-ქალი ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა პირველ დახმარებისათვის, უნდა შეიტანოს ახლად დაარსებულ ბებია-ქალთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ ერთი მანეთი.

### ტფილისის საზოგადო წიგნთ-საცავი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდან 1 ოკდომბრამდე იღება 4 საათზე და იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოკდომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუსულ, ქართულ, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა.

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

### კავკასიის მუზეუმი

მთავარმართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

ეტლების სიარული ტფილისსა და თელავს შორის.

მამულოვის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზედ, თელავიდგან ტფილისს ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი დახურ ეტლში 4 მან., კოზლაზედ—3 მან. (კანტორა იმყოფება ავლაბარში, კახეთის მოედანზე).

ეტლების სიარული ტფილისსა და სიღნაღს შორის.

აბოევის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზე. სიღნაღიდგან ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი კაცზე ვადიან დილიჟანსკი—4 მან., უვადოში—3 მან.

პირუტყვთა სამკურნალო.

მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზედ დაარსებული პირუტყვთა მფარველი საზოგადოების საკუთარს სახლში, რიყის ქუჩაზე № 12, ტელეფონი № 536.

ავადმყოფ პირუტყვს სინჯავს ბეითალი კ. ა. ატრენოვი დილის 8 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5 საათიდგან 7-მდე. ამას გარდა სხვა ბეითლებიც რიგ-რიგად იმყოფებიან სამკურნალოში: ბეითალი ნ. ბრიუკსი 1½-დგან 2-მდე და ა. არტემოვიჩი—4-დგან 5-მდე. სამკურნალოში არის ბაგა ავადმყოფ პირუტყვთათვის, სადაც დაეტევა 12 სხვილი და 28 წვრილი საქონელი, ანუ ფრინველი. სამკურნალო იღებს წამლობისათვის და რჩევისათვის თითო სულზე 20 კაპ. სამკურნალოში ოპერაციებსაც უკეთებენ პირუტყვებს.

### საეკკლესიო მუზეუმი

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათობითა და ხუთშაბათობით 9—11 საათამდე და კვირაობით 10—1 საათამდე, ისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება, შეუძლიან მიჰმართოს მუზეუმის გამგეს—ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მინკვიცის ქ. № 27)

### ნიხრი ხორცისა.

საქონლის ხორცი:

| | |
|---|---|
| 1 ხარისხისა გირვანქა | 11 კ. |
| 2 „ | 8 კ. |
| 3 „ | 6 კ. |
| სუკი | 15 კ |
| ცხვრის ხორცი | 10 კ. |
| კამეჩისა | 7 კ. |
| ღორისა | |
| 1 ხარისხის (საკატლეტე) | 11 კ. |
| 2 „ (ბარძაყი) | 10 კ. |
| 3 „ (დანარჩენი ნაწილი, ტყავებული) | 8 კ. |

ნიხრი პურისა.

თორნეში გამომცხვარი

| | |
|---|---|
| 1 ხარისხისა | 5 კ. |
| 2 „ | 3½ კ |
| 3 „ | 3 კ. |

### მიმოსვლა ეტლებისა კავკასიის გზით.

**კარეტა** ვადიანი გადის ტფილისიდგან კავკავს 7-სა და 8 საათზედ დილით, ღამე ჩერდება მლეთში და კავკავს მიდის საღამოს 7 საათზე

გარდასახადი:

| | |
|---|---|
| 1 კლასით | 15 მან. |
| 2 „ | 10 „ |
| 3 „ | 5 „ |

**ლინეიკა** გადის ტფილისიდგან ნაშუადღევის 3 საათზე, ღამე არსადა ჩერდება.

გარდასახადი:

| | |
|---|---|
| 1 ადგილისა | 6 მ. 80 კ. |
| 2 „ | 4 „ 80 „ |

### ნიხრი ეტლებით მიმოსვლისა

ქ. ტფილისში.

| | |
|---|---|
| საათობით | 60 კ. |
| ერთ გზობით | 30 „ |
| ქალაქიდგან ავლაბარში | 40 „ |
| ნავთლუღში | 50 „ |
| ავლაბრიდგან ნავთლუღს. | 30 „ |
| ნათლუღიდგან ქალაქს | 40 „ |
| ქალაქიდან და ავლაბრიდგან რკინის გზის სადგურამდე | 50 „ |
| იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება | 80 „ |
| ქალაქიდგან და ავლაბრიდგან მუშთეიდის ბაღში და დიდუბეს | 40 |
| იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება | 1 მ. |
| ქალაქიდგან ორთაჭალას, საპყრობილემდე | 80 კ. „ |
| კრწანისის ბაღამდე | 80 „ |
| ნათლუღიდან რკინის გზის სადგურსა და მუშთეიდის ბაღამდე | 80 „ |
| რკინის გზის სადგურიდან ქალაქსა და ავლაბარს | 60 კ. |
| იქიდამ ნათლუღამდე | 1—20 |

იქ თუ რკინის გზის მატარებელმა დაიგვიანა, ყოველ ნახევარ საათში 30 კაპ. ემატება.

მართლმადიდებელთა სასაფლაომდე 50 კ.

ეს ნიხრი სავალდებულოა ღამის 1-ლი საათამდე; შემდეგ-კი 1 ოკდომბრიდგან 1 აპრილამდე ერთგზობით უნდა მიეცეს 50 კ. ხოლო 1 აპრილიდგან 1 ოკდომბრამდე 30 კ.

# განცხადებანი

ახალი იაფ-ფასიანი წიგნები

ჟურნალ «მოგზაურის» რედაქციაში ისყიდება შემდეგი იაფ-ფასიანი წიგნები:

1. წერილი სოფლელ მუშას, ფ. 5 კ.
2. ყელ-ჭირვება ანუ დიფტერიტი, ფ. 5 კ
3. მეცნიერების დედა-აზრი, ფ. 5 კ.
4. ძველი რწმენა-წარმოდგენები და მეცნიერება, ფ. 5 კ.
5. რა არის გონებითი განსხვა-განსჯიათრება, ფ. 5 კ.
6. პურის ბოსტანი ანუ მოყვანა პურისა ჩინურ-იაპონურის წესით, ფ. 7 კ.
7. ბავშვების გონიერი მოვლა ანუ რისგან იხოცებიან ბავშვები უდროვოდ, ფ. 5 კ
8. დანაშაულობა-დამნაშავენი და ახალი საბრძოლველი საშუალებანი, ფ. 5 კ
9. მეურნეობა და ახალი სკოლა, ფ. 5 კ.
10. შინაური ფრინველების: ქათმების, ინდაურების, ბატების, იხვების და ხოხბების მოვლა-მოშენება, სურათებით, ფ. 15 კ
11. რა არის დოსტაქრობა (ხირურგია) ანუ როგორ არჩენენ ექიმები დანით, ფ. 5 კ.
12. „მურია“, სურათებით, საყმაწვილო მოთხრობა, ფ. 5 კ.
13. თვით-მასწავლებელი რუსულის ენისა ქართულის ენის შემწეობით, სურათებით, ფ. 20 კ.
14. სულით ავადმყოფნი მოსწავლენი ფ. 5 კ.
15. ხეხილის გამრავლება და მოვლა, სურათებით, ფ. 7 კ.
16. მეფე ლამზა, საყმაწვილო მოთხრობა, სურათებით, ფ. 7 კ.
17. საუნჯე ავადმყოფისა, ანუ აღწერა და წამლობა ყოველ-გვარ ავადმყოფობისა, ფ. 15 კ.
18. საუნჯე მეურნისა, ანუ აღწერა, მოვლა და გამრავლება, გამოყენება ყოველ-გვარ ხეხილისა, ბუჩქისა და უბრალო ხეებისა, ფ. 15 კ
19. მთვრალობა და მის წინააღმდეგ საბრძოლველი საშუალებანი, ფ. 15 კ.
20. ცხვრის ყვავილი, ფ. 5 კ.
21. მეცნიერების მასალა ანუ მატერიის ქიმიური რაობა, ფ. 7 კ.
22. ქართული სახალხო სამეცნიერო წიგნები, ფ. 5 კ.
23. გმირი როლანდი, მოთხრობა მოზრდილთათვის, ფ. 10 კ.
24. დროა გონს მოვიდეთ! ანუ ლოთობის წინააღმდეგ, ფ. 10 კ.
25, მეთევზის შვილი, სურათებით, საყმაწვილო ზღაპარი, ფ. 10 კ.
26. ხტუნია-ციყვუნია, სურათებით, საყმაწვილო წიგნი, ფა 10 კ.
27. ლიჰნარდი და გერტრუდა, პედაგოგიური მოთხრობა პესტალოცისა, ფ. 10 კ.
28. ცივილიზაციის ისტორია ინგლისში, ბოკლისა, ფ. 40 კ.
29. შიო—თავადი, ლეგენდა ლექსად, ფ. 10 კაპ.
30. ცხენის წურბელა, მოთხრობ ხალხის ცხოვრებიდამ, ფ. 10 კ.
31, მაჰმადი და მისი ცხოვრება-მოქმედება, სურათებით, ფ. 10 კაპ,
32. როგორ ცხოვრებენ ჩინელები, ფ. 10 კაპ.
33. დარვინიზმი, პირველი და მეორე წიგნი, ფ. 20 კ.
34. სიფრთხილეს თავი არ სტკივა ანუ საქონლის ჭირის შესახებ, ფ. 5 კ.
35. აღზრდა შვილისა, თხზ. ბემესი, ფ. 15 კ.
36. ტყის გონიერი მოვლა-გაშენება, ფ. 10 კაპ.
37. ახალი წესი ვენახების გაშენებისა საქართველოში, ფ. 10 კ.
38. საქონლისათვის საკვები ბალახების თესვა-მოყვანა, სურათებით, ფ. 20 კ
39. სარკე გურულთა ცხოვრებისა, ფ. 5 კ.
40. ისტორია სწავლა-აღზრდისა, ფასი 10 კ.
41. ალბომი «ქართველთა ტომი», ასი მეტი სურათით, ფ. 70 კ.
72. Новая народная школа и основы ея развитія и существованія, ф. 5 к.

ვინც ერთის მანეთისას ანუ მეტისას გაიწერს, გაგზავნის ხარჯს რედაქცია კისრულობს. მანეთზე ნაკლები ხვედრი ფული შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს და ფოსტის ხარჯითაც სამ სამი კაპეიკი წაემატოს თვითოეულ დაბარებულ წიგნზედ.

ადრესი: **Тифлисъ, Редакція «Могзаури» Ивану Павловичу Ростомашвили**-

ტფილისში მცხოვრებთ ადგილობრივ წიგნთ-სავაჭროებშიაც შეიძლება იყიდონ.

(10—10)

გამოვიდა და იყიდება ყველგან

ახალი გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოებისა“ № 63.

შოთა რუსთაველის

ვეფხის ტყაოსანი

4 პორტრეტითა და 21 სურათით, დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებითა და ვრცელის ლექსიკონით.

XXX+361 გვ. ფასი სამი აბაზი.

50 ცალი დაბეჭდილია სქელ ქაღალდზედ და ითო ცალი ღირს ერთი მან.

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული სიმოკვლევათა კაბინეტით. გადამდები გერითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

რ ო ი ა ი ლ ე ბ ი პ ი ა ნ ი ნ ო

ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.

ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პ რ ე ი ს კ უ რ ა ნ ტ ე ბ ი

მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა.

ბ. მ. მირიმანიანისა.

МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО

Б. М. МИРИМАНІАНЪ

Тифлисъ, Дворцовая ул.

(25—6—5)

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

ქაჯანა

მოთხრობა ნ. ლომაურისა ფასი 5 კაპ.

2.

ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ცას-დადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Общество распростр. грамотности.

ს ა წ ყ ო ბ ი ქ ა ღ ა ლ დ ი ს

მოსკოვი 1882 წ. დიტიატკოვის ამხანაგობა ნოვოგოროდი 1896 წ.

საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტ ფ ი ლ ი ს შ ი.

ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, ალბომის ქაღალდი აგრეთვე ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.

საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ-კუთვნილებათა. საქონელი **ფაბრიკის ფასად**.

ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილისის საკომერციო ბანკისა.

ტელეგრამებისათვის: Тифлисъ. Дитятковское Товарищество.

ტელეფონი № 66. (30—6.—30)

სააფთიაქო საქონლის მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობა

ტ ფ ი ლ ი ს შ ი

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ).

**ტელეფონი № 741.**

აწარმოებს ვაჭრობას, ნარდად და წვრილმანად, დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი და წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებელი ნივთიერება, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ჭირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქი და ლაბორატორიისათვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და სხვა წყალი და მარილი, მრავალგვარი და მრავალ-ფერიანი საპირფარეშო სამკაული თმის და თვალ-წარბის საღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ-სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ.-და სხვა.

ადრესი ფოსტისა და ტელეგრამისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ.

მ ს წ რ ა ფ ლ მ ბ ე ჭ დ ა ვ ი

სტამბა

ექვთიმე ივ. ხელაძისა,

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხების სასულიერო სემინარიის სახლებში;

იღებს ყველა-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.

სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებული ყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.

ფ ა ს ი ყ ვ ე ლ ა ს ა თ ვ ი ს ხ ე ლ მ ი ს აწ ვ დ ო მ ი ა.

Дозв. цензурою, Тифлисъ, 27 октября 1903 г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-риг. семинаріи დროებით-რედაქტორი ბ. ჭიჭინაძე, გამომცემელი ა. სარაჯიშვილი